

**ზოგადი ელექტრონიკა.**  
**I სემესტრი. 2018-2019 წელი**  
**(ფინალური გამოცდის ნიმუში)**

**კითხვა 1**

რას ეწოდება გამდიდრების რეჟიმში მომუშავე იზოლირებულჩამკეტისანი ველით მართვადი ტრანზისტორის ზღურბლური ძაბვა:

აირჩიეთ ერთი:

- a. ძაბვას ჩამკეტსა და სათავეს შორის, რომლის დროსაც ჩასადენის დენი გაუტოლდება მისი ნომინალური მნიშვნელობის 10%-ს
- b. ძაბვას ჩამკეტსა და სათავეს შორის, რომლის დროსაც გაჩნდება დენგამტარი არხი.
- c. ძაბვას ჩამკეტსა და სათავეს შორის, რომლის დროსაც ჩადასენის დენი გაუტოლდება ნომინალურ მნიშვნელობას
- d. ძაბვას ჩამკეტსა და სათავეს შორის, რომლის დროსაც ჩასადენის დენი გაუტოლდება მისი ნომინალურ მნიშვნელობის 90%-ს

**კითხვა 2**

როდის იმუშავენ ტრანზისტორული მამლიერებელი კასკადი გამლიერების A რეჟიმში ( A კლასი) :

აირჩიეთ ერთი:

- a. ტრანზისტორში დენი გადის შესავალი ცვლადი სიგნალის ნახევარპერიოდზე ნაკლები დროის მანძილზე;
- b. თუ სიმშვიდის რეჟიმის შესაბამისი მუშა წერტილი მდებარეობს აბსცისათა ღერძზე და ემთხვევა შესავალი მახასიათებლის საწყის წერტილს;
- c. თუ სიმშვიდის დენის შესაბამისი მუშა წერტილი მდებარეობს შესავალი მახასიათებლის შუაში და გასაძლიერებელი სიგნალის ამპლიტუდის ფარგლებში ცვლილების დროს მუშა წერტილი რჩება შესავალი მახასიათებლის წრფივ უბანში.

**კითხვა 3**

მაინვერსირებელი შესასვლელიანი ოპერაციული მამლიერებლის ამპლიტუდური მახასიათებელი განთავსდება:

აირჩიეთ ერთი:

- a. კოორდინატთა სისტემის პირველ და მესამე მეოთხედში;
- b. კოორდინატთა სისტემის პირველ და მეორე მეოთხედში;
- c. კოორდინატთა სისტემის პირველ და მეოთხე მეოთხედში;
- d. კოორდინატთა სისტემის მეორე და მეოთხე მეოთხედში;

**კითხვა 4**


ავტოგენერატორში ფაზური ბალანსის პირობების შესრულებისთვის საჭიროა:

აირჩიეთ ერთი:

- a. მამლიერებელი კვანძის შესავალ და გამოსავალ ძაბვებს შორის ფაზური ძვრისა და უკუკავშირის კვანძის შესავალ და გამოსავალ ძაბვებს შორის ფაზური ძვრის კუთხეების ჯამი იყოს  $\pi$ -ის ტოლი.
- b. მამლიერებელი კვანძის შესავალ და გამოსავალ ძაბვებს შორის ფაზური ძვრისა და უკუკავშირის კვანძის შესავალ და გამოსავალ ძაბვებს შორის ფაზური ძვრის კუთხეების ჯამი იყოს  $\pi/2$ -ის ტოლი;
- c. მამლიერებელი კვანძის შესავალ და გამოსავალ ძაბვებს შორის ფაზური ძვრისა და უკუკავშირის კვანძის შესავალ და გამოსავალ ძაბვებს შორის ფაზური ძვრის კუთხეების ჯამი იყოს  $2\pi$ -ის ტოლი;

### კითხვა 5

წარმოდგენილი დროითი დიაგრამა ასახავს:



აირჩიეთ ერთი:

- a. ორშესასვლელიან „ან - არა“ ლოგიკურ ელემენტში მიმდინარე ელექტრულ პროცესებს;
- b. ორშესასვლელიანი „ან“ ლოგიკურ ელემენტში მიმდინარე ელექტრულ პროცესებს;
- c. ორშესასვლელიან „და - არა“ ლოგიკურ ელემენტში მიმდინარე პროცესებს;
- d. ორშესასვლელიან „და“ ლოგიკურ ელემენტში მიმდინარე ელექტრულ პროცესებს.